წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N 10

ქ. წალკა; 03.04.2017 წ.

09:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ხაჩატურიანი, სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ვანაძე, ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე რევაზ მაკარაძე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ჯემალი ბერიძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე ალექსი მუხსიევი, ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ედგარ ფურცელაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე დავით მაჩიტიძე, ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ამირან საგინაძე.

(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“.

2. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“

4. განკარგულების პროექტი „სამხრეთ კავკასიის კომპანია ლიმიტედ საქართველოსთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე წალკის მუნიციპალიტეტის გამგებელისათვის თანხმობის მიცემის შესახებ “

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნისიპალიტეტის გამგეობიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას უმოკლეს ვადაში სხდომაზე განიხილოს აღნიშული დადგენილების პროექტი და საკრებულოს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნისიპალიტეტის გამგეობიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 თებერვლის #4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას უმოკლეს ვადაში სხდომაზე განიხილოს აღნიშული დადგენილების პროექტი და საკრებულოს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.

3. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნისიპალიტეტის გამგეობიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუფტურული საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას უმოკლეს ვადაში სხდომაზე განიხილოს აღნიშული განკარგულების პროექტი და საკრებულოს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.

4. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნისიპალიტეტის გამგეობიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „სამხრეთ კავკასიის კომპანია ლიმიტედ საქართველოსთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე წალკის მუნიციპალიტეტის გამგებელისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ბიურომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას უმოკლეს ვადაში სხდომაზე განიხილოს აღნიშული განკარგულების პროექტი და საკრებულოს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი* *ი.გიგინეიშვილი*

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 03 აპრილის №10
ბიუროს სხდომის რეგისტრაციის ფურცელი

№	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1	ირაკლი გიგინეიშვილი	
2	გოჩა ხაჩატურიან	
3	სამსონ თამარიან	
4	ნუგზარი ჩამურლიევი	
5	სტეფან ეგოიან	
6	ნოდარ ვანაძე	
7	მელიტონ პაკელიანი	
8	დავით მაჩიტიძე	
9	ჯემალ ვანაძე	
10	ამირან საგინაძე	
11	ალექსი მუხსიევი	
12	ჯემალი ბერიძე	
13	ედგარ ფურცელაძე	
14	რევაზ მაკარაძე	